ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №23

12 თებერვალი, 2019 თბილისი,თავისუფლების მოედანი N2
11:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. მიხეილ ამაშუკელი - კომისიის თავმჯდომარის მ/შ;
2. შალვა ოგბაიძე - კომისიის წევრი;
3. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
4. დავით რურუა - კომისიის წევრი.
5. ილია ჯიშკარიანი - კომისიის წევრი;
6. ირაკლი ნადირაძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0319042186-03);

2. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის №32-110 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0319042186-03).

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03190436-03).

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03190436-03).

სხდომას თავმჯდომარეობდა - **მიხეილ ამაშუკელი.**

მომხსენებელი:

- **ვასილ აბულაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

1. **„საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0319042186-03).**

მ.ამაშუკელი - დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის მიხედვით ცვლილება შედის „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში.

ვ.აბულაძე - წარმოგიდგენთ დადგენილების პროექტს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილების პირველი მუხლით საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასი თითოეულ სატრანსპორტო საშუალებაზე და ჰიბრიდული მსუბუქი ავტომობილების შემთხვევაში განსაზღვრული იყო ნებართვის გაცემის დღიდან 2019 წლის პირველ ოქტომბრამდე, რის გამოც საჭირო გახდა ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრა 2019 წლის პირველი ოქტომბრიდან.

ასევე, წარმოდგენილი ცვლილებების საფუძველზე, დადგენილების მე-3 მუხლით დამტკიცებული „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი

ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების შესახებ წესის“ მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„ზ) სწრაფი გამოხმაურების კოდი (QR კოდი), რომელზეც იკითხება ყველა ის ინფორმაცია, რაც დატანილია სანებართვო მოწმობაში“.

ცვლილების შედეგად, დაზუსტდება ყველა ის ინფორმაცია, რომელიც უნდა იკითხებოდეს სწრაფი გამოხმაურების კოდზე (QR კოდზე).

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 1) კომისიამ დაადგინა:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის მიერ შემუშავებული დასკვნა „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გადაეგზავნოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს და საკითხი განხილულ იქნას საკრებულოს სხდომაზე.

2. **„საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის №32-110 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0319042186-03).**

მ.ამაშუკელი - დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის მიხედვით, ცვლილება შედის „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი

გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის №32-110 დადგენილებაში.

ვ.აბულაძე - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) სანებართვო საქმიანობის განხორციელებისას, მანათობელ ნიშანზე (ტაქსის აღმნიშვნელი თეთრი ფერის მანათობელი ნიშანი მასზე დატანილი შავი ფერის წარწერით „TAXI თბილისი“) ჩართული უნდა იყოს მწვანე ფერი იმ შემთხვევაში როდესაც ნებართვის მფლობელს მგზავრი არ ჰყავს, ხოლო წითელი ფერი იმ შემთხვევაში, როდესაც მგზავრი ჰყავს ან გამოძახებულია. ნებართვის მფლობელი ვალდებულია დაიცვას ეს სანებართვო პირობა. ამავე დროს, ცვლილების საფუძველზე დგინდება, რომ „A“ კატეგორიის ნებართვის პირველად გაცემის შემდეგ ნებართვის მფლობელს ნებართვის გამცემის მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დადგენილი წესით, ერთჯერადად უსასყიდლოდ გადაეცემა მანათობელი ნიშანი, ხოლო მანათობელი ნიშნის მეორე და ყოველი მომდევნო გაცემა, ასევე გაცემის საფასურის განსაზღვრა ხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ. ამავე დროს, ნებართვის მფლობელის ვალდებულებებში ზუსტდება სანებართვო პირობა და მომსახურების გაწევისას იმ შემთხვევაში, როდესაც სატრანსპორტო საშუალების ძარის ზედა ნაწილი (სახურავი) შუშისაა (პანორამა), ნებართვის მფლობელმა მანათობელი ნიშანი შეიძლება განათავსოს სატრანსპორტო საშუალების ძარის ზედა ნაწილზე (სახურავზე). პროექტით დგინდება, რომ ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს მის დაჯარიმებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო ნებართვის მფლობელმა დარღვეული სანებართვო პირობა უნდა გამოასწოროს 72 საათის ვადაში.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთვრობას დაევალა დაამტკიცოს მანათობელი ნიშნის გაცემის წესი.

პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, 2018 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით რეგისტრირებული ნებართვების მფლობელების (რომელთა ნებართვებიც მოქმედი იქნება ვაუჩერების გაცემის დაწყების დღისთვის) სურვილის შემთხვევაში, მათთვის უზრუნველყოს სატრანსპორტო საშუალებების ქიმწმენდისა და შეღებვის ვაუჩერების გაცემის ორგანიზება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 1) კომისიამ დაადგინა:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის მიერ შემუშავებული დასკვნა „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის

წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის №32-110 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ გადაეგზავნოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს და საკითხი განხილულ იქნას საკრებულოს სხდომაზე.

3. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (, 12-03190436-03).**

მ.ამაშუკელი - მესამე საკითხის თანახმად, ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-14 დადგენილებაში.

ვ. აბულაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2018 წლის 7 დეკემბერს მიიღო №32-108 დადგენილება „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135^2 მუხლით, 135^3 მუხლის პირველი ნაწილით და 135^4 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“, რომლის პირველი მუხლის შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135^2 მუხლით, 135^3 მუხლის პირველი ნაწილით და 135-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლებამოსილება მიენიჭა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს.

ასევე, ცვლილებები შევიდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის №32-107 დადგენილებაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ნოემბრის №15-30 დადგენილებაში და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური განისაზღვრა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 125^2-ე მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის “ა” ქვეპუნქტით, 135-ე–135^4 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ სამსახურად.

მ.ამაშუკელი - უფლებამოსილი იქნება თუ არა ტრანსპორტის საქალაქო სამსახური ტაქსებთან დაკავშირებით სამართლებრივი დარღვევები გააკონტროლოს.

ი.ნადირაძე - თუ საპატრულო პოლიციამ ტექ.დათვალიერების არ გავლის გამო დააჯარიმა მაგალითად ტაქსის მძღოლი, გადაეცემა თუ არა ეს ინფორმაცია დედაქალაქის მერიას.

ვ.აბულაძე - ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მხრიდან, საპატრულო პოლიციასთან ერთად პარალელურ რეჟიმში, ხორციელდება მონიტორინგი, მათ შორის მიკროავტობუსებთან მიმართებაშიც. რაც შეეხება ტექ.დათვალიერების გამო დაჯარიმებულ მოქალაქეს, ვისაც არ ექნება გავლილი შესაბამისი ინსპექტირება, ვერ მიიღებს ტაქსის ნებართვას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის მიერ შემუშავებული დასკვნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე გადაეგზავნოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს და საკითხი განხილულ იქნას საკრებულოს სხდომაზე.

4. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03190436-03).**

მ.ამაშუკელი - მეოთხე საკითხის თანახმად ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-19 დადგენილებაში.

ვ. აბულაძე - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-19 დადგენილებაში და დადგენილების პირველი მუხლის „მ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ,,დანართი 12“ - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის საშტატო ნუსხა“ ყალიბდება დანართის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ერთ-ერთ სტრუქტურულ ქვედანაყოფს - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების განყოფილებას ეცვლება სახელწოდება და ეწოდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების და სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება.

ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილია საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის მიხედვით სამსახურის ერთ-ერთ სტრუქტურულ ქვედანაყოფს - კერძოდ მე-6 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების განყოფილებას ეცვლება სახელწოდება და ეწოდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების და სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭირო გახდა ცვლილების შეტანა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-19 დადგენილებაში, რის გამოც შემუშავდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის მიერ შემუშავებული დასკვნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ გადაეგზავნოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს და საკითხი განხილულ იქნას საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი — მიხეილ ამაშუკელი